ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა
აპრილი

ნიაგვარი

7
1989

უბედურება რა გინდა მეტი?!
რომ დაიძახო:
— ქურდს ქუდი ეწვის!..
არ მეგულება მაძლრეგზი ერთიც,
რომ არ იტაცოს
მუის ქუდზე ხელი!

უბედურება რა გინდა მეტი?!

მუხრან მაჭავარიანი

ნახ. ჯემალ ლოლუასი

მუხრან მაჭავარიანი — 60

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიანგის“ სალაღობო მილოცვა

მუხრან მაჭავარიანს

მუმლი მუხრანსაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი დაიხრჩოო,
მუხრან გადარჩაო!
ხალხური

თვით შოთასაგან ღირსო დალოცვის,
მოვსულვარ შენთან ლექსით — საბოძვრით!
მიყურე, ამ თასს როგორ გამოვცლი! —
მომილოცია წელი სამოცი!..

თვით ილიასგან ღირსო დალოცვის,
იმედით გიმზერს ძე თარგამოსის!
სალამი შენსას მახვილს ამოწვდილს,
რისხვას, კბილთაგან შენ რომ გამოსცრი!

სხვიტორის, ჩარგლის, საგურამოსი
გაქვს სული, სისხლი, სიტყვა, სამოსი!..
აწ ვინ გამოგცვლის, ან რა გამოგცვლის!
მომილოცია წელი სამოცი!..

...რასაც შენ დაწერ, ვერ დაწერს სხვაი,
ვერ დაწერს, თუგინდ მოიკლას თავი!

დღეს ეს ვიკმაროთ! უფრო გვიან კი
ასისას ისევ გნახავს **„ნიანგი“!**

მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში მოვხვდი: იქ ვნახე ქართველი პიონერები, რომლებმაც სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია ზამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.

ეს ლექსი გახლავთ აუგი —
მე გამოვდივარ ძაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების,

საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად — გაგიხარია!

რუსულის ცოდნა, იცოცხლე,
სახარბიელო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე —
მშობლიურია მთავარი!

ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!

ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული!

განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი —
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!

თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,

შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!

1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვაი, რა უქმად იბობოქრა თურმე შაშხანამ!
ვაი, იმ ბედკრულს, სინათლისთვის ვინც
ბნელს ეომა!
როგორც არასდროს, უმთავრესი,
ვატყობ ამჟამად
გამძლეობაა, გამძლეობა, და გამძლეობა!

ღამე გამუქდა, უზნეობამ ფრთები გაშალა,
ვით ქედანს ძერა, უზნეობა ძიძგნის ზნეობას!
როგორც არასდროს, უმთავრესი, ვატყობ,
ამჟამად
გამძლეობაა, გამძლეობა და გამძლეობა!

1970

ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ!

კაცი რომ კაცად არ გვსურდა გვეცნო,
რომ გავურბოდით ქვეყნის შენებას,
რომ გვაბრმავებდა მიზნები კერძო,
თავი რომ ყველას მეფედ გვენება, —
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ,
ამან რაც გვიყო, მოგეხსენებათ!

ღირსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ
ვგრძნობთ,
ძმას ცოცხალს საფლავს რომ ვუთხრით
ახლაც,
სამშობლოს ჩვენი რომ გვიჯობს ეზო,
რეგვენი თუა, — ის რომ გვსურს მაღლა, —
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ,
ეს გზა რას გვიზამს, იმასაც ნახავთ!

1968

დუმილი რეკავს

დუმილი რეკავს, დუმილი რეკავს
ჯვრით, ალავერდით, გელათით, ტბეთით...
ხმა თუა ნეტავ, ხმა თუა ნეტავ,
ამ უხმო ხმაზე რომაა მეტი!

დუმილი რეკავს, დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს თვით პეტრიწონით...
მკვდარიც კი თუა ქართველი ნეტავ, —
ეს რეკვა მისთვის როა ლიტონი!

დუმილი რეკავს, დუმილი რეკავს
ზარზმით, ოპიზით, ოშკით, ხახულით...
ხან ფერად შვინდი, ხან ფერად ლეგა, —
რეკავს სამრეკლო — ხმადაკარგული.
დუმილი რეკავს..,

1973

ღაღადისი ილიასი
(ხმა სამარიდამ)

ალლო, მითხარი, ქართველთანი როგორ
ვიწამო?!
მითხარ, როდემდე ავარიდო თვალი
წინამურს?!
კარგს რას მაუწყებ, ყურთასმენა რომც
დავიძაბო?! —
საქართველოო, — გოლგოთაზე უფრო
ციცაბოვ!

1973

* * *

შენ ვინ გიწოდა ვაჟკაცი,
ხარ როცა ყოვლად უძლური?! —
გარეთ იძახი „ვაშასა“,
შინ სამშობლოზე წუწუნებ!

1969

ირონიული ფილოსოფია

ცხოვრება იწყება ჭკუაში ჩავარდნით,
ცხოვრების მსგავსია, რაცაა მანამდეც;
ნაწილი კაცთანი გამოდის ჯალათი,
ნაწილი ჯალათზე იძახის: „Молодец!“

1976

* * *

ქედისა კაცმა რატომ უნდა იკისრო მოხრა?!
თხას, მაგალითად, რატომ უნდა უწოდო
ძროხა?!
არ დაგრჩებაა ყველაფერი განაღა ოხრად?!

დღით ერთი-ორით ამა ქვეყნად რომ ვიყო
მეტ ხანს,
ძროხა ვუწოდო ამიტომ მე თხას?!

1980

მიზეზი ყოვლის

სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს
ნურავის!
თვითდაკვირვების მოვიმარჯვოთ, დროა,
უნარი!
მიზეზი ყოვლის, რა სიგლახეც ჩვენში
მძვინვარებს! —
თქვენ როგორ ფიქრობთ?! — რაა?! ვინ არი?!
ისევ ჩვენს შორის, რომ იყო და რომაა
ბევრი, —
თავისი ვისაც ურჩევნია ყველაფერს თავი,
ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაბ ავად,
ჰკიდია ვისაც საქართველო ფეხებზე შენი!

1973

სიტყვა, თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ ისევ ძმათა თვისთა თანა ისევ შუამთაში
(ციკლიდან „1932“)

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, —
ტოკავს ასკილი, ანდა გრაკალი:
ზუსტად იმგვარი, ზუსტად ისეთი
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), —
სუყველაფერზე თავის კანტური
საქციელია არაქართული!

უცხოს როდესაც ჰკოცნი იაზონს
და, ზურგზე ისვამ, როგორც იაბო,
თავმა თუ არა, ტვინუსუარო,
ტანმა ქე მაინც უნდა გიაზროს,
რა შეიძლება მოჰყვეს იმ ამბორს!

მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ,
ვიცი: ხამს ხოლმე რა დროს ძმა ძმისთვის,
ვიცი, რა მოჰყვა მედეას ამბორს,
როგორ დავკარგეთ, მახსოვს, საწმისი!

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, —
ტოკავს ასკილი, ანდა გრაკალი,
ზუსტად, იმგვარით, ზუსტად ისეთით
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), —
სუყველაფერზე თავის კანტურით
ენაც დავკარგეთ კინილა ქართული!

1978

* * *

რომელსაც შენი მონობა ჰმართებს,
ხარ ქვეშევრდომი როდესაც მისი, —
აღემატება ყოველგვარ სასჯელს,
რაც კი ოდესმე ყოფილა სადმე,
კაცობრიობამ რაც დღემდე იცის!

1961

ვაი ჩვენს პატრონს!

დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე
ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან
კიდევ კევრი!..

ვხედავ: რეგვენი ლაპარაკობს ამაყად,
მძიმედ,
და, მე შენ გეტყვი, უბატონოდ ხმას გასცემს
ვინმე!

ქალი თუ კაცი ეჯიბრება იმაში ურთიერთს:
ფიქრის და სიტყვის დაშორებას ვინ
შესძლებს უკეთ.

გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი
რეგვნის,
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ
ლეღვნი.

დროდადრო მესმის უხერხული ხალხური
ლექსი:
ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება
მეტი!..

ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და
ბოლო,
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის
მხოლოდ!

დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე
ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი!..

1972

ზოგჯერ

გრიალებს ტაში!.. ზეცას ანგრევს ტაშის
გრიალი!..
პატიოსნება ძეგლივია დღეს კაჟიანი.
ხმა ისმის ზოგჯერ ტაშის ხმაში ხამუშ-
ხამუში:
— სად არი, თვარა კაი კია სინდის-ნამუსი!

1979

სიტყვა, თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში ტივზე

საქართველოში მრავალჯერ თუმცა
სიკვდილის მოდგა ელჩი, —
გუგულის კვერცხი ესოდენ უხვად
ჯერ არ ყოფილა ჩვენში!

დოლაბი ბევრი ბრუნავდა თუმცა
ქართველი ხალხის თხემზე;
გუგულის ბარტყი ესოდენ ურცხვად
არ მოქცეულა დღემდე!

მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს
დედის ათოვდა თმანი, —
სიტყვა ქართული ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია დმანისს!

საცაა გუგულს, ვიცი და ვიცი, —
ბუდე დარჩება მერცხლის!..
სირცხვილით იწვის, სირცხვილით იწვის
კრწანისის ველზე ცეცხლი!

1970

* * *

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“
უარყოფითი დაჰკარგა ქლერა!
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, —
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა! —
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!

სცდება, ვინც ვინმეს სიფიცხეს უქებს!
ვინც ითმენს, ისიც არაა ბრძენი!
საქმე მაშინღა იქნება უკეთ,
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!

1971

სხდომა

თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით
და... გარეშე ყოველგვარი ხათრის, —
განწყალული (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით, —
ტრიბუნაზე უწიგნური ადის.

თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით
და... გარეშე ცეროდენა ხათრის, —
ატრიოტის (ვიღუპებით!) პრეტენზიით, —
ტრიბუნაზე უცხო თესლი ადის.

თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით
და... ტყუილში ქურციკივით მარდი, —
ქვეულმოქმედის (დავიღუპეთ!) პრეტენზიით, —
ტრიბუნაზე მატრაბაზი ადის.

და... გექნებათ შენიშნული ალბათ,
ჩაწყობანი როცა ხდება კარტის, —
ზოგიერთი, ვინც ვერ უძლებს ამას, —
დარბაზიდან ფეხაკრეფით გადის.

1959

ფიქრნი ელიზბარ ერისთავისა გზად, შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა ეტლით

აღარც საბაა, აღარც ბესიკი,
აღარც ვახტანგი, აღარც არჩილი, —
არადა, ისევ დგას დღის წესრიგში
ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი!

1970

* * *

ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს
გაიმეტებს,
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!
ხოდა... ან გამყიდე, ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყი, ან...რაღაც ამგვარი!

თვარა, ხომ იცი, ღმერთი რავარია!
ვინ იცის, სიკვდილს როდის გაიმეტებს!
რა გააძლებინებს ისე ადამიანს,
თუ არ შეიქცია თავი რაიმეთი!

1961

პესიმისტის რეპლიკა

(ჩაწერილია სუფრაზე, ექიმის ოჯახში)

ეს ჩემგან კია მეტისმეტი თუმცა სიმკაცრე,
მაგრამ ყოველთვის, ცნობილია, არ ხამს
ალერსი!..
დაღონებული როა კაცი, მესმის იმ კაცის!
გახარებული კაცის, არ მესმის!

ვინც გინდა იყავ, გინდ არქიფო, თუ გინდა
ზაქრო! —
რა გიხარია, შე შობელძაღლო?!

1971

დიდი ბედნიერება

ლამის გამგუდოს, როგორც ნამქერმა,
უხმო ბღავილმა გარეთ და შიგნით:
ბედნიერება არის რამხელა!
ბედნიერება არის რამხელა,
თავისუფლება რომაა ფიქრის!

ეს სინამდვილე ვის არ აღელვებს
(საღად აზროვნებს უკეთუ იგი):
ბედნიერება არის რამხელა! —
ბედნიერება არის რამხელა,
თავისუფლება რომაა ფიქრის!

1979

სიტყვა, თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშავრის პირას — ჰერმიჰალაში

ახალი მთვარე — მოხუცის წარბი,
ერთი შეხედვით: ღიმილი ყალბი,
წარბი საბასი, თუ ფარნავაზის,
დაღონებული ზის გალავანზე:
ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა! —
გვეცლება ქართლი თვალდახელშუა!

1970

ჩემმა ქართველმა მეგობარმა ერთ ნაცნობთან წამიყვანა ოჯახში. ქართველთა სანაქებო წესისა და ადათის მიხედვით სტუმარს გამორჩეულად ხვდებიან და ჩვენს პატივსაცემად დიდი სუფრა გაშალა. სუფრას, რომელსაც ჩიტის რძეც კი არ აკლდა, ოცამდე ადამიანი უჯდა.

ყველაზე მეტად ქართული სუფრის ტრადიციამ, თამადამ და სადღეგრძელოებმა განმაცვიფრა. სუფრის წარმმართველი თამადაა, რომელიც აუცილებლად მგზნებარე ორატორი და ბუნებით პოეტი უნდა იყოს. სადღეგრძელოს თქმასაც ტრადიცია ჰქონია. პირველ რიგში ილოცებიან, საყოველთაო მშვიდობას უსურვებენ ერთმანეთს, თავშეყრის მიზეზს ახსენებენ, შემდეგ მშობლებს, დედმამიშვილებს, მეგობრებს, წინაპრებს, გარდაცვლილთა სულებს, სიყვარულს, ერთმანეთს ადღეგრძელებენ.

ღვინოს მიირთმევენ ჭიქებით, ხანდახან რქითაც, რომელსაც ყანწი ჰქვია და რომელიც შეიძლება ორჭიქიანიც იყოს და ორბოთლიანიც. ქართველები, როგორც წესი, ბევრს სვამენ და უცხოელთაგან იშვიათად ვინმე შესწრებია ასეთი სუფრის ეპილოგს. ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს მეც წარმოვადგენ, მაგრამ ეს ყველაფერი თავისებური ვითარების გამო მოხდა.

— განსხვავებული სასმისები! — დაიძახა თამადამ და პატარების სადღეგრძელო უზარმაზარი თასით დალია. როდესაც ჩემმა ჯერმა მოაღწია, ბევრი ვიუარე, ხან რა მოვიმიზეზე და ხან რა, მაგრამ არაფერმა გასჭრა. ჩამოსახრჩობად ეშაფოტზე აყვანილი სიკვდილმისჯილივით კი გადმოვხედე სუფრას, მაგრამ თანაგრძნობის გამომხატველი მზერა ვერსად დავიჭირე. ღვინით სავსე ეს აუზი პირთან მივიტანე და ნელ-ნელა დავიწყე სმა. ღვინო თანაბრად გადადიოდა თასიდან ყელში და გულ-მკერდის გავლით სადღაც უფსკრულში იკარგებოდა. შემდეგ ის უფსკრული თანდათან ამოივსო, პირველად მუცელს შეუტია, ადგილი ვერსად პპოვა და მკერდს მოაწვა!.. შემდეგ ზემოთ ამოიწია და ყელთან მოდგა. მზერა ღვინოზე გადავიტანე, თავი უკან გადავწიე და რისი გადამშებაც შეიძლებოდა, საყოველთაო ურიამულით გამხნევებულმა, მუცელში გადავუშვი. ღვინო ერთბაშად თავში ავარდა. თვალებზე ნისლი ჩამომეფარა, ღელვაში მოხვედრილი ხომალდის გემბანზე მყოფივით ერთი შევბარბაცდი და ნობასწორობადაკარგული უსასრულობაში გადავვარდი!..

სად ვიარე და რამდენი ვიარე, აღარ მახსოვს. როდესაც თვალი გავახილე, საკმაო დრო გასულიყო. თავი წვნიანით სავსე თეფშში მედო და ცხვირში ხრაბუშის ფოთოლი მიღიტინებდა. დიპლომატიური მოსახრების გამო (ისევ დამალევინებდნენ), თავი არ ავწიე და მხოლოდ შიგდაშიგ თუ გავახელდი ცალ თვალს. სუფრას ეტყობოდა უკვე პირველი სიმთვრალის ნიშნები და საკმაოდ არეულიყო. ყველ ერთი ენამზეობა, ერთმანეთის ქება-დიდება და ხვევნა-ეკცნა. ეს ეს ბევრდით მჯდომმა ორმა ღიპიანმა ვაჟკაცმა — ფართოულვაშიანმა და ხუჭუჭთმიანმა — ერთმანეთის სადღეგრძელო სამჯერ ზედიზედ შესვეს ყანწით.

შემდეგ თამადამ ღვინო მომცრო ზომის ჩემოდნით, დიპლომატი რომ ჰქვია, იმით მიირთვა. იმ ჩემოდნით ჩამოტარება სავალდებულო ყოფილა, როგორც ყველა სასმისისა. ერთბაშ ბოლომდე ვერ დალია — ყელში არ გადამდისო და თავზე დაასხეს. როგორც შემდეგ გავიგე, ის საერთოდ მოუკვეთიათ იმ კუნძულიდან და საცხოვრებლად სადღაც დასაკარგავში გადასულა. ერთ დაცლამდე ცოტა უკლდა, როდესაც გონება დაკარგა და იატაკზე გაიშხლართა. ერთს მაშინ გაუსკდა გული, როდესაც ბოლმა ოჯახმა მოაღწია და ორი დოქი გამოსცალა. ორი კაცი კი ბასრ დალევის შემდეგ დაიხრჩო სასუნთქი არხების ღვინით დახშობის გამო!.. სამი კაცი მაშინ გაფუჭდა, როდესაც გაბრაბის სისტემის რადიატორს ორი სექცია მოაგლიჯეს და იმიერ ფლოტის ყველაფერი მშვენიერის სადღეგრძელო!..

შემდეგ, — ჩვენი ძმობის სადღეგრძელო ფრჩხილზე რატომ არ ჩამოიცალეო, — და ულვაშიანმა ხუჭუჭთმიანი ინდაურის საცივით სავსე საწვნეში ჩახრჩო, თუმცა შემდეგ იმასაც ქოშინი აუვარდა და სლოკინისგან დაიხრჩო!..

შემდეგ — სამ კაცს თამადამ ნაგვის ვედროთი მოუღო ბოლო, როდესაც მარადიული სიყვარულის სადღეგრძელო დალია!..

საბოლოოდ მაგიდას თამადა და ერთი არანაკლები მსმელი შემორჩენენ. თამადა სანავო პირობების შეთავაზებაზე წავიდა, მაგრამ ის უსიტყვო კაპიტულაციის პაქტიდან არ იცვლიდა ფეხს. თამადას, რომ ვინმეს წინაშე ქედი მოეხაროს, ქართველთა მოდგმას არ ახსოვს და უსახელო სიკვდილს ბრძოლის ველზე დაღუპვა არჩია. სამშობლოს სადღეგრძელო ლამპის შუშებით ორივემ უნაკლოდ დასცალა, შემდეგ გარდაცვლილთა წინაშეც მოიხადეს ვალი მაღალყელიანი და სუპერზომის ფეხსაცმლით. ახლოვდებოდა დაძაბული ორთაბრძოლის ტრაგიკული ფინალი. მშვენიერი სქესის, ოჯახის დედაბოძისა და ერთგული მეუღლეების სადღეგრძელო თამადამ ღამის ქოთნით გაჭირვებით დასცალა, მეორეს კი საკუთარი ცოლის გახსენებაზე ღვინო ყელზე დაადგა, კისრის ძარღვები დაებერა და გალურჯდა. ფართოდ გაღებული პირიდან ჯერ საოცარი ხმები ამოუშვა, რომელიც რაღაცით წაგაგდა კარატეს ილეთების ჩატარების დროს დამახასიათებელ შეძახილებს და ამოსახეთქავად შემზადებული ლავის გუგუნის სინთეზს. თამადამ ერთი ამაყად გადახედა აოხრებულ მაგიდას, სადაც ერთმანეთში იყო არეული ხაშლამის ზორბა ნაჭრები და მამაკაცთა აპურძგნილთმიანი თავები, ქათმის ბარკლები და ჰალსტუხთა ბოლოები, ერთი ძალუმად შეტორტმანდა და უსულოდ გადაესვენა თავისივე ნარწყევში ჩამხრჩვალი მეტოქის ზურგზე!..

დღიური იპოვა და თარგმნა
თენგიზ გაბიძაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— კანონიერი ქურდები ახლა კაბინეტებში იღებენ ფულს, იმიტომ, რომ ისწავლეს დიპლომები აქვთ!..

ნარევი

● აგრარული რეფორმა კანადური ხორბლით გვამარაგებს.

● დრაკონის უსუსურობის მოწმეს დაეჯერება გველის დანაპირები?

● ვდგავართ სოციალიზმის რელსებზე, ხან ვავითარებთ სიჩქარეს, ხან უძრავად ვართ, ხან ნელი სვლით მივდივართ, მაგრამ მაინც ხომ მივიწევთ წინ!.. განა ეს პატარა იმედია?

● იცით თუ არა თქვენ, რომ ხელფასზე ვინც ცხოვრობს, რესტორნებსა და კოოპერაციულ სასაუზმეებში არ უნდა სადილობდეს?

● მომჭირნეობის გამოცდილება დაბალხელფასიანებმა

ნახ. ა. ხანთაძისა

— ამ არასრულწლოვანს თავი როგორ აცემინე?!.

— აბა, უფროსო, ბავშვს ხელს ხომ არ შევუბრუნებდი?!

რომ გაუზიარონ ჩვენს ეკონომისტებს, რა უზარმაზარ მასშტაბურ ეკონომიკურ ეფექტს მივიღებდით!

ფანტასტიკური ამბავი: ხელფასით „გაზ-24“-ის ყიდვა!

ფანატიკური სიყვარული: ტკბილი სიზმრების რეალობა!

ფული — პატიოსანი შრომის უმცირესი ნაყოფი!

ფასები — ბამბუკის ხესავით მზარდი; მისნვდება ის, ვინც მაღალია!

ფანქარი — ხატავს, ხატავს, ზოგიერთებს უხაზავს, ადებს რეზოლუციას, შლის, ტეხს!..

● ბიშმა სულელს დასცინა: სულელი რომ ვიყო, ხომ გავგიჟდებოდიო!

● დიდი მიგრაცია შეინიშნება ქალაქიდან სოფლებში... მხოლოდ შაბათ-კვირას!..

● ყველაფერი რომ ბევრი გვქონდეს, მაშინ რა ვუყოთ მოთხოვნილებას?!

განცხადება

● მსურს ჩამოვაყალიბო გაფხეკილჯიბიანთა საზოგადოება მიტინგების გარეშე!

* * *

ყიდველი — ყასაბს: — ტვინი არა გაქვს?

— რაზე მატყობ?

— იმაზე, რომ ვერ ხვდები, რაზე გეკითხები!

* * *

● მას შემდეგ, რაც ჩემმა მეუღლემ სილამაზის კონკურსზე ბოლო ადგილი დაიკავა, აღარ ნანობს ჩემზე გათხოვებას!

● კურდღელი ისე გარდაიქმნა, რომ თავი ლომად გამოაცხადა, ყველამ დაიჯერა არწივის გარდა, შეჰკრა კამარა და გაიტაცა!..



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

● უნდა იცოდეთ, რომ ზოგიერთ თანამედროვე დეზდემონას ნებისმიერი ოტელოს ჩახრჩობა შეუძლია ღვინოში!

● დიდმასშტაბური აზრების განხორციელებას დიდი შრომა და დიდი მოთმინება სჭირდება!

● სტერეოტიპები არ გეგონოთ ადვილად მოსაცილებელი ტკიპები!

* * *

ადრე სიმღერით ვწამლავდი ვენახს,
ახლა კი — ცინებ-ცინებით!..
ვაყენებ ღვინოს, ნაცინ-ნატირალს,
სვამენ, მიკლებენ გინებით!..

* * *

ასჯერ მოსჭრა და ერთხელ გაზომა,
სასჯელი მიიღო იცით, რა ზომა?

დატირება

— ჩემო ტანჯულო და ნაჯაფარო სარდიონავ, რა უდროოდ ნახვედი და მამინარიკლე... სახლ-კარი და ვენახი ვის სინაბარა დასტოვე, კაცო?!. იმი იმედი ხო არა გაქ, ჩვენი ქალაქში გაქცეული ბიჭები ჩამოვლენ და მოუვლიან?!. დასაფლავებაზე რო მოყიგულდნენ, მაგაზეც მადლობელ იყავ, კაცოო!.. ვაი, რომ უშენოდ სახლ-კარი უნდა გავერანდეს!.. სნორედ მაგი ჯავრი ნაგყვა თან, შე უბედურო!..

— გამაიყვათ ე დედაკაცი, ხალხო! მიცვალებული ჩავასვენოთ!..

ჯონი ბაზერაშვილი

ქართული ზეპირსიტყვიერება

ტრისტან მახარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ინსტიტუტის **მეორეძალი. იგი ხშირად მოგზაურობს საქართველოს მთასა და ბარში, აგროვებს ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.**
ეაქ ვეფხვნეთ მის მიერ ჩაწერილ ლექსებს.

ლაფანყურს კაცი გვესტუმრა

თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში ჩასულა ერი კაცი, რომელიც ფილოლოგიურ ინსტიტუტს ეკუთვნოდა, ხალხს უნივერსიტეტის პროფესორად აცნობდა თავს და ფაბრიკებსაც უხვად იძლეოდა.
სოფლელები მალე მიხვდნენ ამ „მეცნიერის“ სიცრუეს, კუდით ქვა ასროლინეს მას და ერი კაციაც დაადევნეს უკან:

ლაფანყურს კაცი გვესტუმრა,
ქალაქელია, ჭკვიანი,
ნასნავლი, განათლებული,
დინჯი და თავაზიანი,
ბაკაკი მოსილი-მოხლილი,
გაჭირვების ფროს ფხიანი,
ერთგული პოეზიისა,
თავადაც ენანცლიანი.
სულ ფეხით შემოვლილი აქეს
ფაბე-ბენაურთი მთიანი.
„მენა ვარ „ქვევრის“!
ავტორი!“ —
იკვეხნდა ადამიანი.

ქვევრისა რა მოგახსენონთ,
ფაფარს ჭიქების ტრიალი,
საკუთარ თავსაც ურჩევნავ
ბოთლიანი არაყიანი!..
ღვინოს სულ არ აბუდენებს —
უნალო არის თუ ნალიანი.
რაც ამ სოფელში ლოთაობს,
მეეხრე-მეათე ფლე არის.
ამ ლაფანყურის ქუჩებში
ბეერგან მოხაზა რვიანი.
რას დადგის, რას დაეთრევა
ეგ ლოთი, ოხერ-ტალი?!

მოქმედი
ლუაა ფეიბაზლაფვილი

[1] „ქვევრი“ — სატელევიზიო ფილმი.

* * *

პარასკევს ცოლი გამეკეცა,
შაბათს დაკარგე ვირიო.
ნეტავი კიდევ მაჩვენა
იმისი თვირი ეხვირიო,
ფათილასავით ყურები,
ცისაკე გაშვერილიო,
იმისი კოხტა ფეხები,
მშვილდივით მოდრეკილიო.

ხალხური

ახმეტა ჩამოვიარე

ახმეტა ჩამოვიარე,
მილზე წყალი დამშრალიყო,
სამოცამდე კახ-დიაცი
„ოჩერედში“ ჩამდგარიყო.
ერთერთს ხელით
მიათრევდა,
ვინც კოჭლი და ხანშალი[1]
იყო.
ვალიკოს არა სწყუროდა,
ის ხომ ღვინით
დამთვრალიყო.

მოქმედი
ვალიკო ჩიკურიშვილი

* * *

ერთამ ქალამ დამიწუნა:
— რატომ დახოლ გუდიანი?
— მემეცხოლის წესი ეს არის,
ვიკოსტეო — ცუდი არის.
მენ რითა ხარ ჩემზე მეტი,
რომ დადიხარ პუდრიანი?
შენს თოლებს მენი
დავარტყი,
ძალისაგით[2] ლერენი არის.

ხალხური

ოფიციანტებზე თქმული

თქმული
წავედი პანკისიდანა,
ბერიკაკი ვარ ჭკვიანი,
ოცდაორ იყო აპრილი,
კარგი ღღე იდგა, მზიანი.

[1] ხანშალი — დავარდნილი, დასუსტებული.
[2] ძალა — ხალხური ნაცნობ დამზადებული სალეკვანი.

ჩვენ თანა და კარში

ჩავედი ახმეტაშია,
სადილობისა დრო არი,
სასადილოში შევედი,
ბაზრათან ახლოს რო არი.
ვუთხარი: „ბაბა, ძმა-წულო,
ნინკალ გეკენბათ ფენიანი,
მაეხატრულა ბიძასა,
მეორ-მესამე დღე ასი!“
თეფშზე დამიწყვეს
ნინკლები,
ძველი, სამი დღის ნარჩენი.
დაგლეჯილ-დაფლეთილები,
არც გული ჰქონდა ნარჩენი.
მითხრეს: „უფროსსო,
გეტყობა,
კარგი კაცი ხარ, ჭკვიანი,
მიირთვი ფშაური ნინკალი,
ოცდათოხ ნაოჭიანი!..“
არც სადმე ნოოჭ ეტყობა,
არც ფერად იყო ჯარმაგი.
აფსუს, ფშაელების ნაქებო,
ნეტა ვის ხელში ჩაგარდი?!
„პოეარი“ გამოვიძახე,
ვუთხარ ჩემ
გულისტკივილი,
მითხრა: „რომ არ გეკადრება
ასეთ რამეზე ჩიგალ!..
მიირთვი, ფული არ გვინდა,
ოღონდ იყავი ჭკვაზედა.
რაც კარ ბინდოდეს, დატოვე,
ჩვენ გავასაღებთ სხვაზედა!“

წამოვედ ბულაკვირიანი,
მომბეზრდა მათი ყურება.
ეს თუა ეკთილმოპყრობა,
ეს თუა მომსახურება?!

მოქმედი
ხმითსო
კულალაღაშვილი

ფრუშკას კაფია

— ბიძაის ქალო, სადა ვ	d,
გერჩევნავ, იყო ჭკვიანედა.
ქმრის ჩიგილ რამ მოგგონ,
საბეშოში გამოეცდება?!
ქმარს უფლება აქვს
ცოლზედა.
ყოროლ[1] ჯერ სხვა
გაუყავრდება!..
— შენ ბრალიც არის,
ალეესი,
წინ-წონ რა თვალეკ აგება?
ხშირ იყავ მაგათ სტუმარი,
ხან ქალ მოგწონდა,
ხან — ფეიდა!

გველის მოწამლულ
ვარსკვლავზე
დუშმანიმც დაიბადება!

მოქმედი
ფრუშკა ფვეროშვილი

ამ კაფეის შექმნის მიზეზი შემდეგია: ერთმა ფშაველმა ქალმა, რომელსაც სამეფი ერქვა, თავის კანონიერ ქმარს (მისი სახელი ალეკსია) სასოფლო საბჭოში უჩივლა: ჩემი მეუღლე ხშირად მეცემსო. ალეკსი თურმე ჯერ დედამისთან დაიარებოდა ჩუმ-ჩუმად, მერე კი მისი შვილი სამეფი შერეოთო. ეს ამბავი გახდა ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნების საბაბი. მოლეკსე **ფრუშკა ფვეროშვილმა** მაშინვე გალექსა მოჩხარი ცოლ-ქმრის ამბავი.

* * *

ფშაელები ვართ, ახალელები,
დაგვანგინეთ ცუკანთანა,[1]
იმით მოგგწონს, პირთხელია,
სიფეე დაგვნგავს მსუქანთანა.

ხალხური

ნუნკი მეზობელი

ჩემს მეზობელსა მაროსა
ჩურჩხელა უდგეს თაროსა,
არც შასქამს, არც მე შამაქმევს,
მაგან არ გაიხარესა!

* * *

თეთრი თხის შავო ციკანო,
შორაითა ქენ ვიცობა.
დღეს ღვინო გალაპარაკეს,
ხვალ გამოჩნდება კაცობა!

* * *

ნუხელის ქალთან დაეშვენ,
გავხსენ საკინძის ღილები.
მოელ ღამეს ვერ დავიძინე,
გვერდშია მკბენდნენ რნაცილები

ხალხური

[1] ცუკანი — ქალის სახელ.

მოჩხუბარი

ხატის კარს ჩხუბის ატეხა
ცუდათა მაქვის დაცდილი.
შარშან გადაეკარ,
დავითვერ,
თავში შამიჯდა მაცილი.
დოინჯშამოყრილ დავდივარ.
ჩხუბზე საღერღელაშლილი.
მერე კი მწარედ ვინანე,
სილა რო მამხვდა გაშლილი.
სუფეფლო ჩემსაკე იწევდა —
იორდანე და ბასილი,
კინაოა მამკლეს ცემითა,
მძლოვ გამოვექეც დაფსილი.[1]
ჭართალოა[2] რომ მოვედი,
კარგა გზა მჭონდა გაველილი,
მაშინ დალაგდა ქოჩორი.
კეფაზე გადავარცხნილი.
გონს მოვედ. ჩემ თავს
დავკვლეე,—
წელს ზეკით ვიყავ გახდილი,
პერანგის ნაგლეჯ-ნეულეჯი
გზადაგზა იყო გაშლილი.
რო ვის ვენახე, იტყოდნენ:
„ჭკვაზეკი არი შაშლილი,
დედიშმიერ რას დადის,
ეს უპატრონოს
გაზრდილი?!.“

მოქმედი
ელგუჯა უბილუარი

[1] დაკბილი — სანუალი, გამაცოდავებული.
[2] ჭართალა — სოფელია ახმეტის რაიონში.

ილუსტრაციები მ. ლომაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუჭყით შებოჭილი სინდისი

ფელეტონი

გმირთა მოედანთან მგზავრებით სავსე ტროლეიბუსი გაჩერდა. ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის!..

— გააღე, ბიჭო, შუა კარები, ბილეთი მაქვს! — სალონის შუაგულიდან უძახის მძღოლს ხელბარგიანი მგზავრი.

ამაოდ!..

— წინ წამობრძანდით, კარები გაფუჭებულია! — ესმის პასუხად მგზავრს და მაინც იცდის. იცის, რომ მძღოლი ცრუობს. თუ ისინდისა, ღილაკს უნდა თითის დაჭერა, მეტი არაფერი. მაგრამ სინდისს მიუძინია. კარებიც არ იძვრის. იმედგადაწურული მგზავრი წინ მიიწევს, ადამიანთა ჯგროში ძლივს იკაფავს გზას. შუა კარების გახსნის მომლოდინე სხვებიც აღმოჩნდნენ. ისინიც ამ დღეში არიან, არის ერთი ჯგლეთა, წვალობენ მოხუცები, ინვალიდები, ბავშვიანი ქალები!..

რატომ ხდება ასე?

თბილისში მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება ყოველთვის იყო და კვლავაც არის ერთ-ერთი უმნვავესი პრობლემა. ვერ ვიტყვით, რომ მას ყურადღება არ ექცევა. ახალი წლის პირველ დღეებში დედაქალაქის ქუჩებში გამოჩნდა კომფორტული ავტობუსები, ტროლეიბუსები, იხვეწება სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის განრიგი. მოსახლეობით რიცხვმრავალი გლდანის, თემქის, მუხიანის, ავჭალის დასახლების სამსახურში ჩადგა მეტროპოლიტენის ახალი სადგურები „დავით გურამიშვილი“ და „ახმეტელის თეატრი“!..

ამ სიახლეთა დაუნახაობა მართლაც რომ უმადურობა, თვალებზე ბისტის გადაკვრა იქნებოდა, მაგრამ **რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!. თითქმის ყველა მარშრუტის ტროლეიბუსებზე მძღოლები არ აღებენ შუა კარებს და ეს კეთდება დემონსტრაციულად, რაც აფერხებს მგზავრთა როგორც ჩამოსვლას, ისე ჩასხდომას!.. რატომ? რისთვის აკეთებენ ამას ტრანსპორტელები? იმისათვის, რომ უკლებლივ ყველა მგზავრი წინა კარიდან ჩავიდეს და მძღოლთან გადაიხადოს მგზავრობის საფასური, ესე იგი მძღოლის სინდისი ფულს, ხელის ჭუჭყს აქვს შებოჭილ-შებორკილი და გასაქანს არ აძლევს!** ამასობაში დრო იკარგება, ტრანსპორტიც ყოვნდება, მგზავრები ნერვიულობენ, გამოთქვამენ კიდეც უკმაყოფილებას, მაგრამ არავინ ჩანს გამგონი. გონიერმა, ჭკვიანმა ადამიანებმა ტროლეიბუსს სამი კარი გაუკეთეს, რა თქმა უნდა, მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით, ჩვენ კი მისი გონივრულად გამოყენების შნო და მარიფათიც არა გვაქვს, — ჩივიან მგზავრები და ცამდე მართლები არიან.

ანალოგიური მდგომარეობაა ავტობუსების ზოგიერთ მარშრუტზე. **მეტიც, ზოგიერთი შოფერი ბოლო გაჩერებაზე მხოლოდ წინა კარს აღებს და უკანა ბაქანზე ამოსულ მგზავრებს საკმაო დრო ეკარგებათ ფუჭად სალონის დაცლის მტანჯველ მოლოდინში!..**

აი, მეტროპოლიტენ „თემქის“ სადგურთან ჩამოდგა 159-ე მარშრუტის მგზავრებით გაძგიბული ავტობუსი. შოფერი მშვიდად, მადიანად აგროვებს ფულს!.. მგზავრები იხვეწებიან, კარი გააღეო, ფულს წინა კარიდან გადავიხდითო. ხურდის ჩხრიალში გართულ შოფერს არაფერი ესმის, ოლიმპიური სიმშვიდით აკეთებს თავის სარფიან საქმეს. ირგვლივ გარდაქმნის სიო რომ ქრის, აინუნშიაც არ აგდებს! ჯვარცმული მგზავრის მუდარა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ასეთი შემთხვევები იშვიათი რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდით. წლების განმავლობაში ასე გრძელდება, ბოლო პერიოდში კი უფრო გახშირდა. ნუთუ ასე ძნელია იმის გაგება, რომ დრო, რომელიც ადამიანებმა საქმეს, შრომას, სწავლას უნდა მოახმარონ, ტრანსპორტზე არ უნდა იკარგებოდეს გაღიზიანებისა და ნერვების ფლეთის ფასად.

კოგა ახალკაცი

ნახ. ჯ. ლოლუასი

ტელეატელიეში

— ტელევიზორმა კვამლი გაუშვა, გთხოვთ დამეხმაროთ!..

— სათადარიგო ნაწილები არ გვაქვს და, თუ გნებავთ, საკვამურს დაგიყენებთ!

შაშვი და ყვავი

შაშვი და ყვავი შეეფეთნენ ერთმანეთს. ყვავმა უთხრა:

— წინ იყურე, მორიდებულად იარე, ნუ ეჯახები სხვას, ორი პარასკევი დაგრჩენია და ძალით არ მომაკვლევინო თავი!.. მე კი, ხომ იცი, რა დიდხანს ვცოცხლობო!

შაშვმა მიუგო:

— კი, ბატონო, გერიდებოდი, მაგრამ შემთხვევით შეგეჯახე და მაპატიე, თუმცა, არ გეწყინოს და, რა აზრი აქვს შენს სიცოცხლეს? მართალია, ფერი ერთნაირი გვაქვს, ორივე ფრინველი ვართ, მაგრამ სარგებლობით დიდად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. არავითარი სარგებლობა შენ არ მოგაქვს, პირიქით, ზიანს აყენებ სხვებს, პატარა ფრინველებსაც ანადგურებ!.. შენი ხორციც კი არ იჭმევა!.. უსარგებლო და უაზროა შენი სიცოცხლე!

მე კი არავის არ ვაყენებ ზიანს. პირიქით, სარგებლობა მოგაქვს, ვიკვებები მავნე მწერებით. ჩემი ხორციც გემრიელია. ცოცხალიც ვვარგივარ და მკვდარიც!.. შენ კი ცოცხალიც საზიანო ხარ და მკვდარიც!

ყვავმა ხმის ამოღებაც ვეღარ შეძლო და უხმოდ გაფრინდა.

შ ე გ ო ნ ე ბ ა: უსარგებლო ხანგრძლივ სიცოცხლეს, ხანმოკლე, სარგებლიანი სიცოცხლე სჯობს!

მორწმუნე მგელი

მორწმუნე მ გ ე ლ ი ერთ დილას ადგა, წავიდა, ეკლესიაში პირჯვარი გადაიწერა, ილოცა, სახარებაში წაიკითხა — „არა კაც კლა!", „არ იქურდო!" და ღმერთს შველა სთხოვა საქმეებში წარმატებისათვის. ეკლესიიდან გამოვიდა და ახლო გორაზე საქონელს დაუდარაჯდა. სოფლის მწყემსმა საქონელი გამორეკა ეკლესიის მიდამოებში, თოფი თან ჰქონდა და ჩრდილში დაისვენა. მგელმა ერთ ძროხას დაადგა თვალი. უცებ გაახსენდა სახარებაში წაკითხული „არა კაც კლა!", „არ იქურდო!" და შეჩერდა. იფიქრა, იფიქრა და ასეთი რამ მოიფიქრა: დავიძახებ, თუ ღმერთი ახლოს იქნა და გამიგონა, კბილს არ დავაკარებ ძროხას, თუ არ გამიგონა და აქ არ იქნა, რას გაიგებსო.

„ღმერთო, აქა ხარ?" — დაიძახა ერთხელ. ღმერთის პასუხი არ იყო, ხოლო ხევმა გაიმეორა მგლის დანაძახები. ეს სიტყვები კიდევ გაიმეორა მგელმა და მერე ხევმა ექოდ გამოსცა მისი ხმა.

მგელმა იფიქრა, ჩემს გარდა კიდევ ვიღაცა ეძახის ღმერთს, არც იმას აძლევს პასუხს, მაშასადამე, ამ არემარეში არ არისო, და ძროხას დაედევნა. ძროხამ იბღავლა და ეკლესიისაკენ გაიქცა. ხმაურზე მწყემსი წამოხტა, უცებ თოფმა იგრიალა და მგელი ყირამალა გადატრიალდა!..

— ღმერთო, მიშველე! ღმერთო, მიშველე! — ყვიროდა მომაკვდავი მგელი.

— მე მინდა ყველამ კეთილად და ბედნიერად იცხოვროს და მხოლოდ მას ვშველი, ვინც მოქმედებით კეთილია! წეღან რომ მეძახოდი და პასუხი არ გაგეცი, უნდა იცოდე, მე ყველგან ვარ, ნება ჩემია, გამოვიცნო ბოროტი, გზა გადავუღობო, რათა კეთილებს გავამარჯვებინო! — ჩასძახა ღმერთმა.

მომაკვდავ მგელს ეს სიტყვები ჩაესმა ყურში, მაგრამ გვიანღა იყო, მალე განუტევა სული.

შ ე გ ო ნ ე ბ ა: თუ ბოროტებას სჩადიხარ, ვერავითარი რწმენა და ლოცვა-ვედრება ვერაფერს გიშველის — ცხოვრება გაგანადგურებს!

მელია და ირემი

მელიას უ ძ ი ლ ო ბ ა დასჩემდა, ჩამოხმა. ჯავრობდა, სილამაზე დავკარგეო, და მშველელს ეძებდა. გზად ირემი შემოეყარა, მას შესჩივლა გულისტკივილით და სთხოვა — მიშველეო!

ირემმა უთხრა: წამოდი ჩემთან, შეგისწავლი და გირჩევ რამესო!

მელია დაეთანხმა.

ირემმა სტუმარს პატივი სცა და გამოჰკითხა კიდეც, თუ როგორ და რა გზით ცხოვრობდა.

მელიამ უამბო, სად და როგორ მოიპარა ქათამი, პატრონი გამოეკიდა, თოფი ესროლა, ტყვიამ ზურგი გადაჰკაწრა და ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს; სად საქათმეში შეძვრომისას მურეამ გაიგო, დაედევნა, ის-ის იყო, პირი უნდა ეტაცა კუდზე, რომ ძლივს გადაასწრო ღობეზე და სხვა მსგავსი მოგალითები.

— ყველაფერი გასაგებია, — უთხრა ირემმა, — ახლა დავიძინოთ, დილას რჩევა-დარიგებას მოგცემ და თუ დამიჯერებ, გეშველებაო!

ირემმა დაწოლისთანავე დაიძინა. მელიას ძილი არ ეკარებოდა, შურდა, რომ ირემს ტკბილად ეძინა. ფიქრობდა, ბინაც ხომ კარგი მაქვს, სასმელ-საჭმელიც, არც ქათმის და იხვის ხორცი მაკლია და მაშ, რატომ არ მეძინებაო. გვერდი შეიბრუნა, არც ამან უშველა. შემდეგ გულალმა დაწვა, ღმერთს შეევედრა, მაგრამ მაინც არ დაეძინა.

როგორც იქნა, გვიან ჩასთვლიმა, მაგრამ მოპარული ქათმის პატრონი დაესიზმრა.

— ქათმის პატრონი მომდევს, ქათმის პატრონი! — იყვირა და ზეზე წამოვარდა.

ყვირილზე ირემსაც გაეღვიძა და მელია დაამშვიდა, მაგრამ სხვადასხვა დანაშაულის გამო დასჯის შიშმა მელია რამდენჯერმე გამოაღვიძა.

გათენდა თუ არა, ირემმა უთხრა: შენი ავადმყოფობის მიზეზი დავადგინე. თავი დაანებე ქურდობას, იცხოვრე პატიოსნად, კარგი ბინა და სასმელ-საჭმელი მაშინ შეგერგება და მოგასვენებს, როცა ალალი შრომით შეიძენ. ამ დროს ძილიც კარგი გექნება, გასუქდები და გალამაზდები კიდეცო!

შ ე გ ო ნ ე ბ ა: შრომა და პატიოსნება ტკბილი ძილის, ჯანმრთელობის, სილამაზისა და ხანგრძლივი სიცოცხლის საფუძველია.

ვ ლ ა დ ი მ ე რ გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე

ცოლი შეირთო ნესტორმა!..

ცოლი შეირთო ნესტორმა, ციცინო ჰქვია ეშხიანს,
სახლში რომ ქვა შეეტანა, იმის შეყვანას ერჩია!..
გაოცებული ნესტორა ამბობს: — ჭკუაზე ვიშლები,
ლოგინში იცვამს გრძელ პერანგს, ქუჩაში დადის
შიშველი!..
თმის შეღებვაში გაერთო, სულ მუდამ სადღაც იჩქარის,
წითური ქალი შემერთო, მექნებოდაო იღბალი!
მზარეულობაც ისწავლა, გამოადგება რესტორანს,
სახლში ის აცხობს, ის ხარშავს, ბაზარშიც დარბის
ნესტორა!..
ვაუკაცს არ შერჩა ერთი დრო, გადაიღუნა ხე სწორი!..
ცოლი დივანზე ნებივრობს, ჯამ-ჭურჭელს რეცხავს
ნესტორი!..
ქალს კაბა ძალზე ვიწრო აქვს, და შიგ ტრიალებს
ხალვათად!..
ნესტორო, მაგ ქალის კაბა, ბარემ ჩაიცვი ხალათად!

ა ლ ე ქ ს ი ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
(ქ. საჩხერე)



„ნიანგს“ უპასუხებენ

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი:

ჟურნალ „ნიანგის“ შარშანდელ 22-ე ნომერში გამოქვეყნებულ ფელეტონში — **„ყურადსაღები კრიტიკის შემდეგ“** — მოყვანილი ფაქტები ძირითადად სინამდვილეს შეეფერება.

გასული წლის 21 ივნისს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ კრიტიკიდან საკავშირო ფონდში საადრეო ბოსტნეულის გადატვირთვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ სერიოზული დასკვნები იქნა გაკეთებული.

აგროსამრეწველო კომბინატ **„გ ა რ დ ა ბ ნ ი ს“** აპარატის სპეციალისტები მიმაგრებულ იქნენ იმ მეურნეობებში, სადაც ხდებოდა პროდუქციის გადატვირთვა საკავშირო ფონდში. მკაცრი კონტროლი დაწესდა პროდუქციის და ტარა-ყუთების ხარისხზე. ამ საქმეში ჩაებნენ აგრეთვე სახალხო კონტროლის მუშაკები და სხვა საკონტროლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

იმის გამო, რომ უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ საკავშირო ფონდში პროდუქციის გადატვირთვას და გაგზავნილ იქნა საადრეო კომბოსტოს ცალკეული უხარისხო პარტიები, **აგროსამრეწველო კომბინატის ბრძანებით საყვედური გამოეცხადათ და მკაცრად გაფრთხილდნენ გარდაბნის მებოსტნეობის, რუისბოლოს, კაპანახჩის, ახალი სამგორისა და ყარაჯალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორები — ამხ. მ. ჰასანოვი, შ. ლიპარტელიანი, ვ. ღამბაროვი, დ. ლომსაძე და კ. მამედოვი, ჯანდარის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ფ. ჰუსეინოვი, რომელიც ასრულებდა მეურნეობის დირექტორის მოვალეობას.**

დაისაჯა აგრეთვე საქსოფლდამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. ა. დემეტრაძე.

აღნიშნული ამხანაგები მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, რომ მსგავსი დაუდევრობის განმეორების შემთხვევაში დათხოვნილი იქნებიან დაკავებული თანამდებობიდან.

იმის გამო, რომ ნაკლები მომთხოვნელობა გამოიჩინეს, შეასუსტეს კონტროლი კულტურათა სწორ განლაგებასა და მორიგეობაზე, სასუქებისა და შხამქიმიკატების რაციონალური ხარჯვის და მიზნობრივი გამოყენების საქმეში, რამაც ნაწილობრივ გამოიწვია საადრეო კომბოსტოს ხარისხის გაუარესება და პროდუქციაში ჭარბი ნიტრატების დაგროვება, **მკაცრად იქნენ გაფრთხილებული აგროსამრეწველო კომბინატის გენერალური დირექტორის მოადგილეები ამხ. ფ. მოვსესიანი და ლ. მურადაშვილი, დამზადების, რეალიზაციისა და ვაჭრობის განყოფილების უფროსი ამხ. ზ. ნონიკაშვილი, საქსოფლქიმიის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. მ. ძაძამია და მცენარეთა დაცვის რაიონული სადგურის უფროსი ამხ. ა. ასლანიშვილი. მათვე მკაცრად მოეთხოვათ ამ საქმეში წესრიგის დამყარება!**

ამასთანავე შემოწმებამ დაგვანახვა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა რკინიგზის მომსახურე პერსონალის დაუდევრობისა და იზოთერმული ვაგონების გაუმართაობის გამო ფუჭდება გაგზავნილი პროდუქცია და კარგავს სასაქონლო სახეს.

იმის გამო, რომ საქსოფლდამზადების რაიონული გაერთიანება არ იყო აღჭურვილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მიმღებ-დამხარისხებელი პუნქტები იყო მოუწესრიგებელი, არ ჰქონდათ დახარისხებისათვის საჭირო მოწყობილობანი და სხვა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა გასაგზავნ პროდუქციაზე, **აგროსამრეწველო კომბინატის საბჭოს 1988 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით საქსოფლდამზადების რაიონული გაერთიანება გაუქმებულ იქნა.**

დამზადების ფუნქციები მთლიანად გადაეცა საზოგადოებრივ მეურნეობებს, რაც გამოიწვევს მათი ხელმძღვანელობისა და მთავარი სპეციალისტების პასუხისმგებლობის ამაღლებას გასაგზავნი პროდუქციის ხარისხისათვის.

„საქაგრომშენის“ № 3 სამშენებლო ტრესტი: „ნიანგის“ 1988 წლის მე-17 ნომერში გამოქვეყნებული წერილის **„ბარათები ნიანგს“** პასუხად გაცნობებთ, რომ **გორში ცხინვალის გზატკეცილის № 41, 45, 47 სახლებში მცხოვრებთა კრიტიკული შენიშვნა სინამდვილეს შეეფერება.**

გატარებული ღონისძიებების შედეგად ზამთრის სეზონის დაწყებისთანავე ჩაირთო გათბობის სისტემები და აღდგა სასმელი წყლის მიწოდების ინდივიდუალური ტუმბო. დღეისათვის აღნიშნული კომუნიკაციები შეუფერხებლად მუშაობენ. რაც შეეხება ცხელი წყლით მომარაგებას, მისი სისტემის მშენებლობა გათვალისწინებულია 1989-90 წლებში.

ქ. რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი:

„ნიანგის“ 1988 წლის მე-17 ნომერში რუბრიკით — **„ბარათები ნიანგს“** — გამოქვეყნებული **ქ. რუსთავის რუსთაველის ქუჩის № 33 სახლის მცხოვრებთა წერილი მათ ეზოში უკანონო ავტოგარაჟების მშენებლობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება.**

დღეისათვის ყველა უკანონო ავტოგარაჟი ზემოაღნიშნულ ეზოში დანგრეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

უცხოური იუმორი

გუსტავ ნადო
(ფრანგი პოეტი)

მობეზრდა ეშმაკს სიავე,
თქვა: „მსურს ვითხოვო ცოლი,
კმარა, რაც ბნელ გზით ვიარე,
სული დამძიმდა ცოდვით,
არ ძალმიძს მეტის ატანა
ამ უბადრუკი ყოფის!..“
ჰოი, სატანავ, სატანავ,
ცოლი გძლევს! ეშმაკობით!
იფიქრა: „გარდავიქმნები,
მეც ვიცქირები ცისკენ“,
რქებიც მოიძრო, ჩლიქებიც,
კუდიც, მტკაველის სისქე,
გონჯი არ გახლავთ არც ტანად,
გახდა ლარივით სწორი,
მაინც, სატანავ, სატანავ,
გძლევს ეშმაკობით ცოლი!
გამდიდრდა, ხალხს გაერია,
გალაღდა, როგორც სურდა,
შეხვდა, ვითარცა ფერიას,
პატარა გოგოცუნას,
მზითვიანს, ალვისტანას,
თუმცა სავსე ხარ, სატანავ,
ეშმაკობით და ცოდვით,
გძლევს ეშმაკობით ცოლი!
ჰა! ტაძრის ზარი აკვნესდა,
კართან ბრბო ელის ღელვით,
ავ სულს და იმის აგნესას
ჯვარს რარიგ დასწერს მღვდელი!
რა ჯადოქარზე იწერს ჯვარს,
რა იცის გოგომ პატარამ,
ვის მისდევს ეს კოკობი!..
მაინც, სატანავ, სატანავ,
ცოლი გძლევს ეშმაკობით!
არც კუდი, აღარც ჩლიქები
არ ეტყობოდა წლობით,
ბედნიერს დიდიც, პატარაც
იხსენიებდა ქებით,
მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა,
ისევ დააჩნდა რქები.
ხომ გაფრთხილებდი, სატანავ,
ცოლი გძლევს ეშმაკობით!

თარგმნა შალვა მჭედლიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 7 (1785) აპრილი
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჯაბუა ამირეჯიბი, ნოშადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბესიკ სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 6. 03. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 04. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 561. უე 04650. ტირაჟი 129 000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

89-212

პრემია

პირადი დანაზოგებიდან პრემია მაქვს დანესებული იმისთვის, ვინც იპოვის მეორეს, ვისაც 58 წელინადი — 17 ნლის ასაკიდან დღემდე — „ტაბელი ებრუნებინოს“ სწორედ რედაქციაში მსახურებით: ეწეროს, ესნორებინოს, ემორიგეოს, ღამეები ეთენებინოს; რედაქციიდანვე კომკავშირელი წასულიყოს ფრონტზე, შინ დარჩენოდეს 3 პაწია შვილი და მათი მომაკვდავი დედა, და მეხუთე წელსღა დაბრუნებოდეს უდედო ბავშვებს; რედაქციასვე დაბრუნებოდეს პარტიის წევრი, ორდენ-მედლიანი, დაჭრილ-კონტუზირებული; ფრონტზე რიგითი ჯარისკაცობიდან გვარდიის ოფიცრობისთვის მიეღნიოს, დროდადრო კალამი ტყვიამფრქვევით შეეცვალოს; შინდაბრუნებულს ნაწერები მწერალთა კავშირის რიგებში მიღებით შეფასებოდეს, 25 მცირე თუ მოზრდილი წიგნის, მათ შორის რუსულ და ლატვიურ ენებზე თარგმნილის, ამასთან აგრეთვე აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქმენულ, ჩეხურ, უნგრულ ენებზე თარგმნილ ცალკეულ ნაწარმოებთა ავტორი და თავადაც უკრაინელი კლასიკოსის მთარგმნელი გამხდარიყოს; ეომოს ლატვიური ეროვნული შენაერთის შემადგენლობაში, იყოს მისი ვეტერანი, ფლობდეს ლატვიის ხალხთა მეგობრობის კლუბის საპატიო წევრის მოწმობას და თანამშრომლობდეს... ხალხთა მეგობრობის ორდენსაც თავის ყოფილ ომისშემდგომ პრაქტიკანტთან! პრემიის მისაღებად ყველა ზემოჩამოთვლილ პირობასთან ერთად: ჰყავდეს 3 შვილი და 6 შვილიშვილი და ბინა მიეღოს არა როგორც რედაქციის მუშაკს, არა როგორც ომის ინვალიდს, არა როგორც მწერალს, არა როგორც მრავალშვილიანს, არა როგორც ძველ თბილისელს (1934 ნ.), არა როგორც, არა როგორც...

არამედ როგორც მრავალი ათეული ნლობით მონათხოვრებული ორი დარაბის საგარანტიო ფურცლით ჩამბარებელს, ოროთახიანი...

გიჟირთ? ვერ ასახელებთ იმ მეორეს — ჩემნაირს? მაშ, შემრჩენია და ეგ არის, პრემია, საკუთარი პრემია!..

ვლადიმერ თორდუა

ნახ. სანდრო ერისთავისა

— რატომ არ მაძლევთ სიტყვას?

— გვაცალეთ, ბატონო! აბერ პრეზიდიუმის წევრები მოვითათბირებთ, შევისწავლით თქვენს წარსულს, მომავალს და ისე გამოგიყვანთ ტრიბუნაზე!